

როგორ გამოვიყენოთ ფლიპჩარტი

შეიძლება ითქვას, რომ ფლიპჩარტი (დიდი ფორმატის A2 ზომის ფურცლები ან ბლოკნოტი) პოპულარობით მეორე თვალსაჩინოებაა პროექტორის შემდეგ. ქვევით მოყვანილი რჩევები დაგეხმარებათ ფლიპჩარტის ეფექტურად გამოყენებაში.

1. **არ გადატვირთოთ ფლიპჩარტი.** ფურცლებზე წერის საუკეთესო ვარიანტია ფერადი ფლომასტერები ფართო ღეროთი თანაც, თუ თქვენ დაწერთ დიდ ასოებს, მაშინ აუდიტორიის ყველა ადგილიდან შესაძლებელი იქნება ნაწერის გარჩევა.
2. **იზრუნეთ ფლიპჩარტის დამაგრების საშუალებებზე.** თუ ერთდროულად რამდენიმე ფურცლის დამაგრება გჭირდებათ, არსებობს რამდენიმე საშუალება: სკოჩი, ჭიკარტები და ეგრეთ წოდებული ბლუ-ტეკი. თითოეულ მათგანს გააჩნია როგორც პლუსი, ასევე მინუსი. მაგალითად, სკოჩი და ბლუ-ტეკი არ გამოდგება შპალერიან კედელზე, მაგრამ კარგია შეღებილი ზედაპირისთვის. ხოლო ჭიკარტი გამოსადგება შპალერზე და კვალს ტოვებს შეღებილ ან შეთეთრებულ კედელზე. ამიტომ უხერხული მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად სამივე ერთდროულად იქონიეთ.
3. **ფლიპჩარტთან მუშაობისას გამოსადგვია საკანცელარიო დანა.** გასაშლელი საკანცელარიო დანა უსაფრთხოა და ძალიან მოხერხებული დიდი ფურცლების მოსაჭრელად.
4. **დაფიქრდით, რა შემთხვევაში აქვს აზრი ფლიპჩარტზე წერას.** არ ღირს ფლიპჩარტზე გრძელი წინადადებების ჩანერა. უკეთესია იგი გამოიყენოთ საკვანძო სიტყვების დასაწერად. მაგალითად, ძალიან მოხერხებულია “გონებრივი იერიშის” დროს.
5. **მნიშვნელოვანი ინფორმაცია ფლიპჩარტზე წინასწარ დაწერეთ.** იმის მაგივრად, რომ ლექსიაზე დახარჯოთ დრო ფლიპჩარტზე წერისთვის, უკეთესი იქნება მიაქციოთ სტუდენტების ყურადღება პლაკატზე წინასწარ დაწერილ დავალებზე.
6. **სტუდენტებმაც გამოიყენონ ფლიპჩარტი.** პატარა ჯგუფებში მუშაობის დროს სტუდენტებს შესთავაზეთ დავალება პრეზენტაციისთვის დაწერონ ფლიპჩარტზე. ეს მათ დაეხმარება ყურადღების კონცენტრაცია მოახდინონ დავალების შედეგების ჩანერაზე.
7. **არ დაგავიწყდეთ რეზინი.** და ბოლოს, კიდევ ერთი სასარგებლო რჩევა: გამოყენებული ფურცლების შეკვრა არ დაგეფანტებათ, თუ მას გადაუჭერთ ჩვეულებრივი რეზინის რგოლს.